

სს „საბროკერო კომპანია კავკასუს კაპიტალ ჯგუფი“

ფინანსური ანგარიშგება

2011 წელი

2011

ფინანსური ანგარიშგება
2011 წელი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა -----	3
ბალანსი -----	5
მოგებისა და ზარალის ანგარიშგება -----	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	7
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ -----	8
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	9
შენიშვნა 1 ზოგადი ასპექტები -----	9
შენიშვნა 2 ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოყენებული მნიშვნელოვანი პრინციპები -----	9
შენიშვნა 3 ფულადი სახსრები -----	10
შენიშვნა 4 მოკლევადიანი ინვესტიციები -----	11
შენიშვნა 5 მოთხოვნები -----	11
შენიშვნა 6 წინასწარ გადახდილი გადასახადები -----	11
შენიშვნა 7 ძირითადი საშუალებები -----	11
შენიშვნა 8 არამატერიალური აქტივები -----	12
შენიშვნა 9 ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან -----	12
შენიშვნა 10 სხვა ვალდებულებები -----	12
შენიშვნა 11 სააქციო კაპიტალი -----	12
შენიშვნა 12 საოპერაციო შემოსავალი -----	13
შენიშვნა 13 საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები -----	13
შენიშვნა 14 კომუნალური გადასახადები -----	13
შენიშვნა 15 ფინანსური ინსტიტუტების მომსახურება -----	13
შენიშვნა 16 საბიუჯეტო გადასახადები -----	13
შენიშვნა 17 სხვადასხვა ხარჯები -----	13
შენიშვნა 18 არასაოპერაციო შემოსავალი -----	14
შენიშვნა 19 არასაოპერაციო ხარჯები -----	14
შენიშვნა 20 საანგარიშო პერიოდის მოგება / ზარალი და აკუმულირებული მოგება	14
შენიშვნა 21 ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი -----	14
შენიშვნა 22 კაპიტალის მოძრაობის უწყისი -----	14
შენიშვნა 23 ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე -----	15
შენიშვნა 24 ინფორმაცია კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე --	15

№ 04 29 მაისი 2012 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სააქციო საზოგადოება „საბროკერო კომპანია კაუკასუს
კაპიტალ ჯგუფი“-ს პარტნიორებს და დირექტორატს:

ჩვენ ჩავატარეთ სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს (შემდგომში - „საზოგადოება“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს საბალანსო უწყისს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ მოგებისა და ზარალის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემული გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს, აუდიტის იმგვარად დაგეგმასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს გარკვეული პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის, რათა დაგვეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.


ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

გიორგი ხმალაძე

დირექტორი



ბალანსი
2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2011	31.12.2010
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	3	129	733
მოკლევადიანი ინვესტიციები საწ.ფასიან ქაღალდებში	4	199,620	156,219
მოთხოვნები	5	61	52
წინასწარ გაწეული ხარჯები	6	4,452	4,500
სულ მიმდინარე აქტივები		204,262	161,504
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,369	4,457
არამატერიალური აქტივები	8	813	957
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,183	5,414
სულ აქტივები		208,445	166,918
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოწ. და მომს. წარმ. ვალდებულებები	9	2,626	662
სხვა ვალდებულებები	10		134
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,626	796
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	11	143,600	99,600
წინა პერიოდის აკუმულირებული მოგება (ზარალი)		66,522	58,280
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)		(4,303)	8,242
სულ საკუთარი კაპიტალი		205,820	166,122
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		208,445	166,919

გენერალური დირექტორი:

გიორგი ლოლაძე

მოგება / ზარალის ანგარიშგება
2011 წელი

	შენიშვნა	2011	2010
საოპერაციო შემოსავალი			
საბროკერო საკომისიო	12	5,526	7,560
საოპერაციო შემოსავალი სულ		5,526	7,560
საოპერაციო ხარჯები			
სახელფასო ხარჯები		12,463	12,278
ოფისის იჯარა		5,695	6,037
საკომუნიკაციო მომსახურება	13	2,103	3,551
კომუნალური გადასახადები	14	1,406	1,126
ფინანსური ინსტიტუტების მომსახურების გადასახადი	15	2,384	2,528
ცვეთა და ამორტიზაცია		1,231	1,693
საბიუჯეტო გადასახადი	16	48	63
აუდიტორული მომსახურება		1,000	1,000
სხვადასხვა	17	447	563
საოპერაციო ხარჯები სულ		26,778	28,839
საოპერაციო საქმიანობით მიღებული მოგება (ზარალი)		(21,253)	(21,279)
არასაოპერაციო შემოსავალი			
არასაოპერაციო შემოსავალი	18	16,957	57,848
არასაოპერაციო ხარჯები			
არასაოპერ. საქმიანობით მიღებული მოგება (ზარალი)		16,950	29,520
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)	20	(4,303)	8,241
წინა პერიოდებში აკუმულირებული მოგება (ზარალი)		66,522	58,280
სულ აკუმულირებული მოგება (ზარალი)	20	62,220	66,521

გენერალური დირექტორი:

გიორგი ლოლაძე

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
2011 წელი

	2011	2010
მოგება/ზარალი	(4,303)	8,241
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
მოწ. და მომს. წარმ. ვალდებულებები	1,964	(1,643)
მოთხოვნები მიწოდება/მომსახურებიდან	(9)	1,558
სახელფასო ვალდებულებები	0	(3)
ცვეთა და ამორტიზაცია	1,232	1,692
ვალდებულებები საწარმ. პერსონ. წინაშე	(134)	128
წინასწარ გაწეული ხარჯები	48	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,202)	9,974
ფული საინვესტიციო საქმიანობიდან		
ინვესტიციები საწარმოთა ფასიან ქაღალდებში	(43,402)	(42,639)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(43,402)	(42,639)
ფული საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის შევსება	44,000	22,600
მოკლევადიანი სესხი		6,000
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	44,000	28,600
ფულადი სახსრების ცვლილება	(604)	(4,066)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	733	4,799
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	129	733

გენერალური დირექტორი:

გიორგი ლოლაძე

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

2011 წელი

(ლარებში)

	გაცხადებული სააქციო კაპიტალი	შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
01.01.2010	100,000	(23,000)	–	–	58,280	135,280
სააქციო კაპიტალის შევსება		22,600				22,600
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)					8,241	8,241
31.12.2010	100,000	(400)	–	–	66,521	166,121

	გაცხადებული სააქციო კაპიტალი	შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
01.01.2011	100,000	(400)	–	–	66,522	166,122
გაცხადებული სააქციო კაპიტალის ცვლილება	100,000	(100,000)				-
სააქციო კაპიტალის შევსება		44,000				44,000
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)					(4,303)	(4,303)
31.12.2011	200,000	(56,400)	–	–	62,220	205,820

გენერალური დირექტორი:

გიორგი ლოლაძე

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2011 წელი

1. ზოგადი ასპექტები

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ რეგისტრირებულია თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახლო ინსპექცია) მიერ 2006 წლის 15 მაისს.

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა საფონდო ბაზრებზე.

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 74^ა.

საბროკერო კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 200 000 ლარს.

კომპანიის აქციონერები არიან: გიორგი ლოლაძე – შევსებული კაპიტალის 75.28% და ნიკოლოზ ლოლაძე – შევსებული კაპიტალის 24.72%.

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები.

საზოგადოებას ანგარიშები გახსნილი აქვს შემდეგ ბანკებში: სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „ბანკი ქართუ“ და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

2. ფინანსური ანგარიშგების შეფასებისას გამოყენებული ფინანსური ანგარიშგების მორგებების საშუალებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. საზოგადოება ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახლო კანონმდებლობის მიხედვით.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- * ბალანსს;
- * მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- * კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- * ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
- * ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდი კომპანიისათვის არის კალენდარული წელი 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

სამუშაო ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც კომპანიის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით, ფინანსური ინვესტიციებით და სხვა ვალდებულებებით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, დარიცხული ამორტიზაციის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენილი ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით.

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას.

ვალდებულებები

გრძელვადიანი და მიმდინარე ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც მოუწევს საზოგადოებას.

გადასახდელი ვალდებულებები

გადასახდელი ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელ თანხებს.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება დარიცხვის პრინციპით. კომპანიის შემოსავალი მოიცავს საბროკერო მომსახურებიდან მიღებულ საკომისიოს.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე დანახარჯები, მის საქმიანობაზე გადასახადის გადასახდელად, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ფულადი სახსრები

	31.12.11	31.12.10
სს „თიბისი ბანკი“	108	435
სს „საქართველოს ბანკი“	15	278
სს „ბანკი ქართუ“	6	5
ფულადი სახსრები ცენტრალურ დეპოზიტარში		15
სულ	129	733

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

4. მოკლევადიანი ინვესტიციები

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
სს "საქწყალპროექტის" აქციები	10922	12461
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯიას" აქციები	30	30
სს "საქართველოს ბანკის" აქციები	2109	19460
სს "საქ. საფონდო ბირჟის" აქციები	186560	117000
სს "აუტო ფაინენსის" ობლიგაციები	-	7,268
სულ	199,620	156,219

მოკლევადიანი ინვესტიციების გადაფასება ხდება საბაზრო ფასის შესაბამისად ყოველი სავაჭრო დღის შემდეგ. მოკლევადიანი ინვესტიციების (ფასიანი ქაღალდების) რეალიზაციისას გამოიყენება LIFO მეთოდი.

5. მოთხოვნები

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით.

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
კლიენტებისაგან მისაღები საკომისიო	61	52
სულ	61	52

6. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
საავანსო მოგების გადასახადი	4,442	4,490
საავანსო საშემოსავლო გადასახადი	10	10
სულ	4,452	4,500

7. ძირითადი საშუალებები

შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით შემცირებული თვითღირებულებით:

ღირებულება 31.12.10 მდგომარეობით	18,048
გასვლა	
ღირებულება 31.12.11 მდგომარეობით	18,048
აკუმულირებული ცვეთა 31.12.10 მდგომარეობით	(13,590)
ღარიცხვა	(1,088)
აკუმულირებული ცვეთა 31.12.11 მდგომარეობით	(14,678)
საბალანსო ღირებულება 31.12.10 მდგომარეობით	4,457
საბალანსო ღირებულება 31.12.11 მდგომარეობით	3,369

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელიც მცირდება აკუმულირებული ამორტიზაციით:

ღირებულება 31.12.10 მდგომარეობით	1,838
გასვლა	
ღირებულება 31.12.11 მდგომარეობით	1,838
აკუმულირებული ცვეთა 31.12.10 მდგომარეობით	(881)
ღარიცხვა	(144)
აკუმულირებული ცვეთა 31.12.11 მდგომარეობით	(1,025)
ღირებულება 31.12.10 მდგომარეობით	957
ღირებულება 31.12.11 მდგომარეობით	813

9. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
ვალდებულება სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მიმართ	107	236
ვალდებულება სს „საქ. ფას. ქალ. ცენტ. დეპოზიტარის“ მიმართ	33	116
ვალდებულება სს „კავკასრეესტრის“ მიმართ	138	27
ვალდებულება შპს „ანკორ კონსალტინგის“ მიმართ	1,759	258
ვალდებულება კომპანიის კლიენტების მიმართ	70	-
ვალდებულება შპს „სილქნეტის“ მიმართ	18	25
ვალდებულება შპს „მედიატორის“ მიმართ	500	-
სულ	2,625	662

10. სხვა ვალდებულებები

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
ვალდებულებულება საწარმოს პერსონალის მიმართ	-	134
სულ	-	134

11. სააქციო კაპიტალი

	<u>31.12.11</u>	<u>31.12.10</u>
გაცხადებული სააქციო კაპიტალი (საწესდებო კაპიტალი)	200,000	100,000
შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	(56,400)	(400)
სააქციო კაპიტალი	143,600	99,600

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

12. საოპერაციო შემოსავლები

2011 წლის მთლიანმა საოპერაციო შემოსავალმა – საბროკერო საკომისიოს სახით – შეადგინა 5526 ლარი.

13. საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები

	<u>2011</u>	<u>2010</u>
ინტერნეტი	900	900
სატელეფონო ხარჯები	1,029	1,228
საფოსტო ხარჯები	40	5
ინტერნეტ-დომენების გადასახადი	120	120
ვებ-გვერდის ხარჯები	14	1,298
სულ	2,103	3,551

14. კომუნალური გადასახადები

	<u>2011</u>	<u>2010</u>
გენერატორის იჯარა	210	211
წყლის გადასახადი	22	101
დასუფთავება	14	54
ელ. ენერჯის გადასახადი	998	672
კონდიციონერი	163	87
სულ	1,406	1,125

15. ფინანსური ინსტიტუტების მომსახურება

	<u>2011</u>	<u>2010</u>
საბანკო ხარჯები	216	229
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯები	1,404	1,453
ცენტრალური დეპოზიტარის მომს. ხარჯები	576	737
საბროკერო საკომისიო		10
რეესტრის მომსახურების ხარჯები	188	99
სულ	2,384	2,528

16. საბიუჯეტო გადასახადები

საგადასახადო მოგებას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად მოგების გადასახადი არ ღარიცხულა.

	<u>2011</u>	<u>2010</u>
ქონების გადასახადი	48	63
სულ	48	63

17. სხვადასხვა ხარჯები

	<u>2011</u>	<u>2010</u>
საკანცელარიო ხარჯები	63	193
სხვადასხვა	384	370
სულ	447	563

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

18. არასაკონტრაქტო შემოსავლები

	<u>2011</u>	<u>2010</u>
დივიდენდები	544	-
ფასიანი ქაღალდებ. რეალიზ. მიღებული მოგება (ზარალი)	(2,395)	8,514
აქციების გადაფას. მიღებული შემოსავალი	18,195	47,210
დადებითი საკურსო სხვაობა	1	10
საპროცენტო შემოსავალი კორპ. ობლიგაციებიდან	612	2,114
სულ	16,957	57,848

19. არასაკონტრაქტო ხარჯები

	<u>2011</u>	<u>2010</u>
უარყოფითი საკურსო სხვაობა	6	2
აქციების გადაფას. მიღებული ზარალი		28,327
სულ	6	28,329

20. საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი და აკუმულირებული მოგება

2011 წლის ზარალმა შეადგინა 4303 ლარი.

21. ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება შედგენილია არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით და ასახავს საანგარიშო პერიოდში ფულადი სახსრების ფაქტობრივ ბრუნვას.

22. კაპიტალის მოძრაობის უწყისი, კაპიტალის აღმქვატურობა

სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ საკუთარი კაპიტალი 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 205820 ლარს. შესაბამისად, საბროკერო კომპანია აკმაყოფილებს კაპიტალის აღქვატურობის კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2011 წელი

23. ინფორმაცია კლიენტების რაოდენობაზე

2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების რაოდენობა შეადგენს 672-ს.

24. ინფორმაცია კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ მოცულობაზე

2011 წლის განმავლობაში სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფის“ კლიენტების ტრანზაქციების (გარიგებების) ჯამურმა მოცულობამ შეადგინა:

- თანხობრივად: 411 531.87 ლარი.
- ფასიანი ქაღალდების მიხედვით: 1 870 078 ცალი.

გენერალური დირექტორი:

გიორგი ლოლაძე